დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „ინფორმაციის ტექნოლოგია“, განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების ფარგლებში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

თამარ გიორგობიანი - თავმჯდომარე

გიორგი ნაჭყეპია - წევრი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგელობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო კოდი: 406056173

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე:

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

▮ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების მიერ შპს ბიზნესისა და აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, **„ინფორმაციის ტექნოლოგია“** ადგილის/ფართის ცვლილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი განაცხადის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის ბ) და ე) ქვეპუნქტებით დადგენილი სტანდარტების „ბ.ბ“, „ბ.დ“ „ე.ა“და „ე.ბ“ კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასების მიზნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2024 წლის 06 ივნისის N632165 ბრძანების საფუძველზე შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს შემადგენლობით - თამარ გიორგობიანი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე) და გიორგი ნაჭყეპია - დარგის ექსპერტი (წევრი), დაევალა 2024 წლის 27 ივნისს, ვიზიტის განხორციელება ქალაქ საჩხერეში, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში, მისამართზე ი. გომართელის ქ. N50ა, N52).

დაწესებულებაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებას, შეისწავლა წარმოდგენილ დოკუმენტაციას და დაათვალიერა ორგანიზაციის ვებგვერდი, რის საფუძველზეც შეადგინა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას.

ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის 2.2., 2.4, 5.1., 5.2 სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, ადმინისტრაციულ პერსონალსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
ინფორმაციის ტექნოლოგია	30	36	14	1

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

პროფესიულ სტუდენტთა თეორიული კომპონენტის შეფასებისათის აკადემიას შესყიდული აქვს და იყენებს ელექტრონულ პლატფორმას https://www.bta.edu.ge/ge/posts/details/23/sagamotsdo-sivrtse.
საგამოცდო სირვცეში ავტორიზაციისთვის დაყენებულია მრავალდონიანი დაცვის სიტემა, მკაცრად კონტროლდება პროფესიულ სტუდენტთა აიპი მისამართები.
ელექტრონული პროგრამა იძლევა მრავალფუნქციურია და იძლევა სწავლის შედეგის დადასტურების, პროფესიული სტუდენტისათვის საკუთარი შედეგის კონფიდენციალურობის დაცვით გაცნობის, ასევე გამჭირვალობის და სამართლიანობის დაცვის საშუალებას.
შეფასების დაწყების წინ, სისტემაში გამოდის შეფასების პროცესისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია (პირობები, დრო, აპელაციის პროცედურა და სხვ).
პროგრამა „შემთხვევითი შერჩევითი პრინციპის“ დაცვით ალაგებს საკითხებს (ყველა პროფესიულ სტუდენტს მისდის განსხვავებული ნუმერაციით შეკითხვა) და ცვლის დისტრაქტორების თანმიმდევრობას. თუ პროფესიული სტუდენტი ვერ დაასრულებს შეფასების პროცესს (მაგ.: რომელიმე კითხვა დარჩა პასუხგაუცემელი), შეუძლია დაუბრუნდეს მას და დაასრულოს ნაშრომი. დასრულების შედგომ მას ეკრანზე გამოსდის შეტყობინება დაადასტურა თუ არა აღნიშნული მოდული/სწავლის შედეგი და სწორი პასუხების რამდენი პროცენტი დააგროვა, ასევე აჩვენებს მის მიერ დაშვებულ შეცდომებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
ინფორმაციის ტექნოლოგია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაცია არ გაცემულა.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაცია არ გაცემულა.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.1.1.1 შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (ამონაწერის მომზადების თარიღი: 21.12.2023წ.) დაწესებულების საკუთრებაშია არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 2652.00 კვ.მ. ნაკვეთი საკადასტრო კოდით: 35.02.57.401, მისამართი: ქალაქი საჩხერე, ივანე გომართელის ქ.N50ა, N52, სადაც განთავსებულია შენობა-ნაგებობა N10/3, რომლის საერთო ფართი შეადგენს 2605.7 კვ.მ-ს (პირველი სართული - 938.8 კვ.მ, მეორე სართული - 831.4 კვ.მ, მესამე სართული - 835.5 კვ.მ). შენობა-ნაგებობა დატვირთულია იპოთეკით(იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება „პროკრედიტ ბანკი“).

აღნიშნულ მისამართზე შენობა-ნაგებობაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და დაწესებულების საქმიანობის განხორციელების მიზნებისათვის კეთილმოწყობილია შემდეგი სახის სივრცეები:

- თეორიული სწავლების აუდიტორია (A სასწავლო გარემო) „აღმზრდელისა“და „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის - 2 ერთეული;
- თეორიული სწავლების აუდიტორია (A სასწავლო გარემო) „ვებტექნოლოგიებისა“ და ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის - 1 ერთეული;
- კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორია (B სასწავლო გარემო) - 1 ერთეული;
- კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორია „ვებტექნოლოგიებისა“ და ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის (B/C სასწავლო გარემო) - 2 ერთეული;
- დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი//სახელოსნო/ლაბორატორია (C სასწავლო გარემო) „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“, „ფარმაცია (სააფთიაქო)“ და „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის - 3 ერთეული;
- ადმინისტრაციული სივრცე (რექტორის მოადგილე, მრჩეველი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი, დაცვა) - 4 ერთეული;
- სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის - 1 ერთეული;
- სამუშაო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის - 2 ერთეული;
- დასასვენებელი/სარეკრეაციო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის/სივრცე პროფესიულ სტუდენტთა სპორტული ან შემოქდებითი საქმიანობისათვის - 1 ერთეული;
- ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით – 1 ერთეული;
- სივრცე არქივისთვის - 1 ერთეული;
- გამიჯნული სანიტარიული კვანძი/ები, მათ შორის ადაპტირებული შშმ პირთათვის - 8 ერთეული,
- ლიფტი - 1 ერთეული.

სასწავლო და სამუშაო სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა და მატერიალური რესურსით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია უძრავი და მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო გეგმა, აზომვითი ნახაზი, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ფლობის, ლიფტის ინსპექტირების დამადასტურებელი დოკუმენტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურა, შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და გაესაუბრა უფლებამოსილ პირებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

5.1.1.2 აკადემიის რექტორის 2020 წლის 28 ივლისის №2/60 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსების გამოყენების წესი“, რომელიც არეგულირებს დაწესებულების მატერიალური რესურსების სარგებლობის შესაძლებლობას. პროფესიული სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან იმ მატერიალური რესურსითა და მასალა-ნედლეულით, რაც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის განსახორციელებლად, საერთო სარგებლობის სივრცეებით, ბიბლიოთეკით, კომპიუტერული აღჭურვილობით.

აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის №2/13 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რის მიხედვითაც განსაზღვრულია აკადემიის მატერიალური რესურსების მართვის პროცედურა, ხოლო ამავე ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ ითვალისწინებს რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით. რესურსის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს გამოკითხვას, რისთვისაც იყენებს პირისპირ ინტერვიუს ან კითხვარების ფორმებს (კონკრეტული საჭიროებების მიხედვით).

პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი მოდულების მასალებისა და ნედლეულის გათვალისწინებით, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რექტორის დავალებით ახორციელებს მასალებისა და ნედლეულის შესყიდვას შესაბამისი მოდულის/სწავლის შედეგის დაწყებამდე.

აღნიშნულის დასტურად აკადემიის მიერ წარმოდგენილია მატერიალური რესურსების, აღწერის, შეფასებისა და განვითარების, რესურსების შესყიდვისა და განახლების დოკუმენტები, დაწესებულების რესურსებით პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევის მასალები.

პროფესიული სტუდენტების მიერ აკადემიის სასწავლო და დამხმარე რესურსით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.1.1.3 აკადემიაში ფუნქციონირებს რექტორის 2024 წლის 13 ივნისის N2/72 ბრძანებით დამტკიცებული „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები“, რომელიც არეგულირებს დაწესებულებაში არსებული სივრცეების მოწესრიგების ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა სამუშაო ადგილებზე ზედაპირების დასამუშავებელი სადეზინფექციო საშუალებების გამოყენება, აკადემიის ტერიტორიის ერთჯერადი ხელსახოცებითა თუ სხვა ჰიგიენური საშუალებებით და ნარჩენების გადასაყრელად დახურული კონტეინერებით უზრუნველყოფა, ყოველდღიურ რეჟიმში სამუშაო სივრცეებისა და ადგილების სველი წესით დალაგება/დეზინფექცია და სხვა.

დაწესებულების ტერიტორიაზე სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას ახორციელებენ სანიტარული სპეციალისტები, რომელთა მოვალეობაა სათანადო ჰიგიენური გარემოს უზრუნველყოფა სამუშაო და სასწავლო პროცესისათვის, დაწესებულებასა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე სისუფთავესა და სანიტარული-ჰიგიენური პირობების დაცვა, ორგანიზაციის საოფისე და ადმინისტრაციული სივრცეების (კაბინეტების, კორიდორების, კიბეების, სანიტარული წერტილების) დალაგება/დასუფთავება, კედლების, იატაკების, ფანჯრებისა და კარის ბლოკების, ფანჯრის რაფების, მინების, ავეჯის, საოფისე ტექნიკის დასუფთავება/წმენდა, ხელსაბანი ნიჟარებისა და უნიტაზების დეზინფიცირება, სანაგვე ურნების, გონივრულ ვადებში შიგთავსებისაგან განთავისუფლება/დეზინფიცირება, ქაღალდის და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოგროვება/გატანა მათთვის განკუთვნილ ადგილას. სანიტარული სპეციალისტები ვალდებულნი არიან დაკისრებული მოვალეობა შრომის უსაფრთხოების წესების დაცვით შეასრულონ.

აკადემიაში სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვა აგრეთვე დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

5.1.1.4. აკადემიის მფლობელობაში არსებულ საჩხერის ფილიალის შენობაში არის ცენტრალური გათბობის სისტემა, შესაბამისად, შენობა-ნაგებობის ყველა სასწავლო აუდიტორია, სახელოსნო, თუ ადმინისტრაციის ოთახი უზრუნველყოფილია გათბობის სისტემით. ცენტრალური გათბობის სისტემის გამართული ფუნქციონირების დასტურად წარმოდგენილია კომპანია „ენერგოპრო ჯორჯიას წერილი აკადემიის ქსელში მომხმარებლად დარეგისტრირებისა და აღრიცხვის კვანძის შემოწმება - მიღების აქტი, ასევე კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები. გათბობის სისტემის გამართული ფუნქციონირება აგრეთვე დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.1.1.5 დაწესებულებაში მოქმედებს შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის შრომის უსაფრთხოების სამსახურის მიერ შემუშავებული და რექტორის 2021 წლის 01 თებერვლის N2/06 ბრძანებით დამტკიცებული „სამუშაო გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკა“, რომელიც არეგულირებს შრომის უსაფრთხოების მექანიზმებს. პოლიტიკის ძირითადი მიზანია აკადემიის თანამშრომლებისა და მომხმარებლებისათვის დანერგოს უსაფრთხო სამუშაო გარემო საფრთხეებისა და რისკების შემცირების გზით. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში, საქართველოს ორგანული კანონის, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ შესაბამისად, შექმნილია შრომის უსაფრთხოების სამსახური, რომელშიც შედიან სამსახურის უფროსი და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. აკადემიაში მომუშავე პერსონალისათვის განახლებად რეჟიმში მუშავდება შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციები. ყოველი ახლად მიღებული თანამშრომელი დასაქმებისთანავე გაივლის შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს. ინსტრუქტაჟად ჩაითვლება ასევე დასაქმებულთან/მომსახურების გამწევთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეგულაციები, რომლის გაცნობაც სავალდებულოა. დაწესებულებაში გარკვეული პერიოდულობით ხორციელდება რისკების შეფასება. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი აკადემიაში არსებული რეგულაციებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დასაქმებულ პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებს უტარდებათ შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინსტრუქტაჟი (შრომის უსაფრთხოების ზოგადი წესების შესახებ, საკანონმდებლო მოთხოვნები (ზოგადი მიმოხილვა), ინდივუდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების წესები, სახანძრო უსაფრთხოება, პირველადი გადაუდებელი დახმარება, გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა და სხვა). აღნიშნულის დასტურად დაწესებულებამ წარმოადგინა სათანადო დოკუმენტაცია (ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ჟურნალები).

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ შენობა-ნაგებობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან. აკადემია აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით (ცეცხლმაქრი, სახანძრო სტენდი), გამოყოფილია თავშეყრის ადგილი, ფუნქციონირებს საევაკუაციო გასასვლელები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

5.1.1.6 დაწესებულებაში ფუნქციონირებს სასწავლო მიზნებისათვის მასალების შეძენის, ნედლეულის შენახვის და გახარჯულის აღრიცხვის მექანიზმები. პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი მოდულების მასალებისა და ნედლეულის გათვალისწინებით, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რექტორის დავალებით ახორციელებს მასალებისა და ნედლეულის შესყიდვას შესაბამისი მოდულის/სწავლის შედეგის დაწყებამდე, მასალა - ნედლეული ინახება მისთვის გამოყოფილ სპეციალურ ადგილას - „საწყობში“, პროფესიული განათლების მასწავლებელს გადაეცემა მოდულით განსაზღვრული მასალა-ნედლეული, რომელიც მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად ახოციელებს მათ გამოყენებას, დარჩენილი მასალა-ნედლეული უბრუნდება საწყობს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, აღრიცხვას ელექტრონულ ჟურნალში ახორციელებს მატერიალური რესურსების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი. თუ მოდულის პრაქტიკული მეცადინეობა ტარდება პრაქტიკის ობიექტზე, აკადემია მასალებისა და ნედლეულის შეძენას იმ მოდულის ფარგლებში არ ახორციელებს. მასალებისა და ნედლეულის შეძენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი ვარგისიანობის ვადა მათი გამოყენების მომენტისათვის. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება შესაბამის ინსტრუქციებში მითითებული შენახვის წესების დაცვით. გარდა ამისა, აკდემიაში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი/პროექტი წარმოადგენს შეფასების მტკიცებულებას, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი, რომელიც მალფუჭებადია და განკუთვნილია კონკრეტული მოდულის შედეგის დადასტურებისათვის, ასეთი შემთხვევებისთვის შესრულების მტკიცებულებების დასადასტურებლად კონკრეტული პროდუქტისათვის ივსება სპეციალური ფორმულარი (ფორმულარში მითითებულია მოდული, შედეგი, შემსრულებელი, მოდულის განმახორციელებელი პირი, რიცხვი და სხვა) და ხდება პროდუქტის ფოტოგრაფირება. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას შექმნილი ელექტრონული პროდუქტი (თუ ეს დაკავშირებულია შედეგის დადასტურებასთან, ანუ წარმოადგენს მტკიცებულებას), უნდა ჩაიწეროს ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე. სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის/პროექტის შენახვისას შესაძლებელი უნდა იყოს მისი ავტორ(ებ)ის/შემქნელ(ებ)ის იდენტიფიკაცია. შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია აღირიცხება ელექტრონულად. მტკიცებულებები უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახება სასწავლო პროცესის თანამშრომლებთან, პროგრამების მიხედვით ინდივიდუალურ საქაღალდეებში, ან ელექტრონულად, რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის. შემდგომ ხდება მათი განადგურება ისე, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს, შესაბამისი კომისიის მიერ ხდება ოქმის შედგენა.

ზემოაღნიშნული პროცესის შესრულების დასტურად, აკადემიამ წარმოადგინა მასალა-ნედლეულის მოთხოვნისა და დაწესებულების მიერ მოცემული რესურსის მიწოდების, ამ რესურსების შესყიდვის დოკუმენტები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას დათვალიერდა სასწავლო გარემო, მასალა-ნედლეული და განხორციელდა ინტერვიურება პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან, რომელთაც დაადასტურეს სასწავლო პროცესში მასალა-ნედლეულის საკმარისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

5.1.1.7 აკადემიაში რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. ხარისხის უზუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით დადგინდა, დაწესებულება რეგულარულად ახდენს არსებული რესურსების შეფასებას პროფესიული სტუდენტებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და პროფესიული განათლების მასწავლებლებისა გამოკითხვისა და კმაყოფილების კვლევის გზით, რის დასტურადაც წარმოადგინა კვლევის შედეგები, ანალიზი და რეაგირების დოკუმენტაცია.

დაწესებულების მფლობელობაში არებული რესურსების ვიზუალური დათვალიერებითა და ფლობის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგეგად, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს ფაქტს, რომ დაწესებულებს გააჩნია საკმარისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

5.1.1.8 დაწესებულების მფლობელობაში შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია და უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით, რაც ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. თითოეულ სველ წერტილთან განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები, მეორე და მესამე სართულზე განლაგებულია შშმ სტუდენტებისათვის განკუთვნილი სველი წერტილები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

5.1.1.9 ვიზუალირი დათვალიერებით ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებულ ყველა სასწავლო და ადმინისტრაციულ ფართს, მოსასვენებელ სივრცეებსა და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.9 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.1.1.10 დაწესებულების საჩხერის ფილიალის შენობა-ნაგებობაში არსებული სასწავლო აუდიტორიები და ლაბორატორიები, სივრცეები პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, ყველა სართულზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლადაა განლაგებული. სამუშაო და მოსასვენებელი სივრცეები და სასწავლო აუდიტორიები, სართულების შესაბამისად, ისეა გადანაწილებული, რომ ხელი არ შეეშალოს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.10 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

5.1.1.11 რექტორის 2020 წლის 28 ივლისის №2/60 ბრძანებით დამტკიცებულია „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომელიც განსაზღვრავს ბიბლიოთეკის სამუშაო დღეებსა და საათებს, ბიბლიოთეკაში გაწევრიანების წესებს, ბიბლიოთეკის და მკითხველის უფლება - მოვალეობებს, საბიბლიოთეკო ერთეულის გატანისა და დაბრუნების საკითხებს. საგანმანათლებლო რესურსი აღრიცხულია საინვენტარო წიგნში, რომელიც დამუშავებულია საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. აკადემიას ჰყავს საბიბლიოთეკო საქმეზე პასუხისმგებელი ბიბლიოთეკარი, რომელიც ახორციელებს სტუდენტებისა და პერსონალის უზრუნველყოფას საბიბლიოთეკო სერვისებით.

საგანმანათლებლო რესურსით სარგებლობის გარდა, დაწესებულების საბიბლიოთეკო სერვისები გულისხმობს ასლის გადაღებას, კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით სარგებლობას, ბიბლიოთეკარის კონსულტაციას. აკადემიაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი „openbiblio”.

აკადემიაში ხორციელდება საბიბლიოთეკო სერვისებით მოსარგებლეთა რეგისტრაცია ბიბლიოთეკის მკითხველად, ბიბლიოთეკარი ახორციელებს შესაბამისი ჟურნალების წარმოებას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსების ბიბლიოთეკაში არსებობის ფაქტი, რაც სრულად იქნა დადასტურებული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.11 დაკმაყოფილებულია, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემიის რექტორის 2020 წლის 28 ივლისის N2/60 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“;
2. შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
4. მატერიალური რესურსების შესყიდვისა და განახლების დოკუმენტაცია;
5. დაწესებულების რესურსებით პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების კვლევის დოკუმენტები;
6. აკადემიის რექტორის 2024 წლის 13 ივნისის N2/72 ბრძანებით დამტკიცებული „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები“;
7. გათბობა-გაგრილების სისტემის შესყიდვის/მონაჟის დოკუმენტები;
8. რექტორის 2022 წლის 31 იანვრის №2/13 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
9. რექტორის 2021 წლის 01 თებერვლის №2/06 ბრძანებით დამტკიცებული „სამუშაო გარემოს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების პოლიტიკა“;
10. აკადემიის რექტორის 2020 წლის 28 ივლისის N2/60 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“;
11. რექტორის 2020 წლის 28 ივლისის N2/60 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი“;
12. აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
13. შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში არსებული სხვადასხვა ჟურნალების დამტკიცების დოკუმენტაცია;
14. შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით რისკების შეფასების შესახებ დოკუმენტაცია;
15. ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ჩატარების შესახებ დოკუმენტაცია;
16. რექტორის 2021 წლის 01 თებერვლის №2/06 ბრძანებით დამტკიცებული „შრომის უსაფრთხოების გეგმა“;
18. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირსა და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.1.2.1 ფართის ცვლილების განაცხადის წარდგენისას დაწესებულებამ წარმოადგინა აკადემიის რექტორის 2024 წლის 23 მაისის N2/60 ბრძანებით დამტკიცებული „შეასაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, ქ. საჩხერის ფილიალში მდებარე შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და შესაბამისი დადებითი დასკვნის მისაღებად, დაწესებულებას გაგზავნილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქვს განაცხადი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში და შესრულების ვადად მითითებულია 2024 წლის 20 აგვისტო, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის დროს, აკადემიამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ გაცემული სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო - ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის 2024 წლის 21 ივნისს გაცემული აქტი N269, რომლითაც დასტურდება შენობის შესაბამისობა სახანძრო უსაფრთხოების კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 15 დეკემბრის ბრძანება N№70.7023349001 ქ.საჩხერეში ი. გომართელის N50ა, N52-ში მდებარე შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის საგანმანათლებლო ცენტრის (სასწავლო კორპუსის) ექსპლოატაციაში მიღების შესახებ და საექსპერტო დასკვნა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება N41 - ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“ შესაბამისობის შესახებ.

აკადემიაში ფუნქციონირებს აგრეთვე რექტორის 2021 წლის 01 თებერვლის N2/06 ბრძანებით დამტკიცებული „ინსტრუქცია სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“, რომელიც შემუშავებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება № 370 “სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ სხვა მარეგულირებელ დოკუმენტაციის საფუძველზე. ინსტრუქციის მთავარი მიზანი არის არ დაუშვას აკადემიის თანამშრომლებისა და სტუდენტების ჯამრთელობასა და სიცოცხლეზე რაიმე ზიანის მიყენება და ასევე დაიცვას აკადემიის საკუთრება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.1 დაკმაყოფილებული, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.

5.1.2.2 რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები“ არეგულირებს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პირობებს. პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფის მიზნით ფუნქციონირებს პუნქტი/კაბინეტი. პუნქტი უზრუნველყოფილია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოსაჩენად საჭირო საშუალებებით და რესურსებით. მის მუშაობას წარმართავს რექტორის მიერ დანიშნული შესაბამისი კომპეტენციის მქონე პასუხისმგებელი პირი (რექტორის 2024 წლის 05 ივნისის N1/26 ბრძანებით პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის ფუნქცია დამატებით შეთავსებული აქვს სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომლის კომპეტენცია დასტურდება „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებო პროგრამის გავლით). პასუხისმგებელი პირი ვალდებულია კომპეტენციის ფარგლებში აღმოუჩინოს პირს პირველადი გადაუდებელი დახმარება და/ან გამოიძახოს საასწრაფო სამედიცინო დახმარება, პასუხისმგებელი პირი ვალდებულია აწარმოოს შემთხვევების აღრიცხვა შესაბამის ჟურნალში.
დაწესებულების პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ აკადემიაში ფუნქციონირებს პირველადი გადაუდებელი დახმარების კაბინეტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

5.1.2.3 დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული ჰქონდა „საგანგებო მართვის გეგმა“, რომელიც შეთანხმებული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. ფართის ცვლილების მიზნებიდან გამომდინარე, აკადემიამ განაახლა „საგანგებო მართვის გეგმა“, რომელიც შესათანხმებლად წარუდგინა შესაბამის ორგანოს. შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილით (რეკვიზიტები: 29.09.2024, MIA 0 24 01578576) დასტურდება, რომ წარდგენილი გეგმა, შეთანხმებულია უწყებასთან და შეესაბამება კანონმდებლობას. გეგმა განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს. ასევე, მოსამსახურეების, მოსახლეობის, მატერიალური ფასეულობათა დამაზიანებელი ფაქტორებისაგან დაცვის მიზნით გადაუდებელი ღონისძიებების შესრულებას. შექმნილია საგანგებო შტაბი, სადაც გაწერილია შტაბის წევრების პოზიციები და ფუნქციები. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმაში აღწერილია მოსალოდნელი რისკები და გასატარებელი ღონისძიებები. გეგმის მიზანია ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის თანამშრომელთა და სტუდენტთა დაცვის საერთო ორგანიზაციულსამართლებრივი ღონისძიებების წარმართვა, საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესის ეფექტურად განხორციელების მიზნით, ორგანიზაციის შესაძლებლობისა და ვალდებულების ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის მხარდაჭერა, მომხდარ საგანგებო სიტუაციაზე ორგანიზაციის დროული, კოორდინირებული და ორგანიზებული რეაგირების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი იურიდიული საფუძვლის შექმნა, შესაძლო საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და ლიკვიდაციისათვის რესურსების განსაზღვრა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.

5.1.2.4 დაწესებულებაში მოქმედებს რექტორის 2021 წლის 17 ნოემბრის N2/143 ბრძანებით დამტკიცებული „წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები“ და 2021 წლის 8 დეკემბრის N1/21 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესი“. აღნიშნული დოკუმენტები განსაზღვრავს შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში დასაქმებული პირების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა და აკადემიის ტერიტორიაზე მყოფი ვიზიტორების წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის პროცედურას. დაწესებულება უზრუნვეყოფს მის მფლობელობაში არსებული ქონების დაცვას, აკადემიის ტერიტორიაზე მყოფი ადამიანების უსაფრთხოებას, არსებობის შემთხვევაში აკადემიის შენობა-ნაგებობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული პირების დახმარებას გადაადგილების დროს, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვას, საჭიროების შემთხვევაში შენობაში მყოფთა ევაკუაციას. უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნით აკადემიის შენობაში თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული საევაკუაციო გეგმა, (რომლის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება შენობის უსაფრთხოდ დატოვება), წესრიგის დაცვის სხვა მანიშნებლები. აკადემია აღჭურვილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით და ინვენტარით (ცეცხლმაქრები), მისი გამოყენების ინსტრუქცია გამოკრულია აღნიშნულ ინვენტართან. შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემა. წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია დაცვის 2 სპეციალისტი, რომლებიც კომპეტენციის ფარგლებში მუდმივად აკონტროლებენ ელექტროგადამცემი ხაზების მდგომარეობას, ამოწმებენ ცეცხლმაქრი საშუალებების ვარგისიანობას, საევაკუაციო გასასვლელების მდგომარეობას, მონიტორინგს უწევენ სამეთვალყურეო აღჭურვილობის გამართულად მუშაობას, საჭიროების შემთხვევაში ააქტიურებენ სპეციალურ სახანძრო სიგნალს, შეტყობინებას აგზავნიან საგანგებო სიტუაციების სამსახურში, ხელს უწყობენ ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოში ინტეგრაციას და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ გაცემული სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო - ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის 2024 წლის 21 ივნისს გაცემული აქტი N269;

2. საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 15 დეკემბრის ბრძანება N№70.7023349001 ქ.საჩხერეში ი. გომართელის N50ა, N52-ში მდებარე შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის“ საგანმანათლებლო ცენტრის (სასწავლო კორპუსის) ექსპლოატაციაში მიღების შესახებ;

3. საექსპერტო დასკვნა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება N41 - ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“ შესაბამისობის შესახებ;
3. რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები“;
4. რექტორის 2022 წლის 27 აპრილის N2/74 ბრძანებით დამტკიცებული და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული „საგანგებო მართვის გეგმა“;
5. რექტორის 2021 წლის 17 ნოემბრის N2/143 ბრძანებით დამტკიცებული „წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
6. ჩატრებული ინსტრუქტაჟების ჟურნალები;
7. რექტორის 2021 წლის 01 თებერვლის N2/06 ბრძანებით დამტკიცებული „ინსტრუქცია სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“;
9. რექტორის 2024 წლის 05 ივნისის N1/26 ბრძანება პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის ფუნქციის სასწავლო პროცესის მენეჯერისთვის დამატებით შეთავსების შესახებ;
10. 2021 წლის 8 დეკემბრის N1/21 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესი“;
11. პროფესიულ სტუდენტებსა და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.2.1.1 აკადემიაში შექმნილი ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების საჭირო რაოდენობით უზრუნველყოფას. აკადემიაში ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო, ასევე კაბელიანი ინტერნეტი, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება, საგანმანათლებლო სივრცეები აღჭურვილია A,B C სასწავლო გარემოს მიმართ წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამართულ მუშობას უზრუნველყოფს კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტი, რომელიც აკონტროლებს როგორც ტექნიკურ გამართულობას, ასევე ხდენს შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას. ინტერნეტთან უწყვეტი კავშირის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პროვაიდერ „შპს სქაიტელთან“ და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირთან.

დაწესებულებაში IT ინფრასტრუქტურის ეფექტიანი ფუნქციონირება დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერებითა და პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების გზით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

5.2.1.2 IT საქმიანობის ეფექტიანად და ხარისხიანად წარმართვის მიზნით, დაწესებულება ახორციელებს IT რისკების მართვას. აკადემია სისტემატიურად ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების მონიტორინგს, რაც გულისხმობს როგორც მათ ტექნიკურ შეფასებასა და საჭიროების შემთხვევაში შეუსაბამობების აღმოფხვრას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას. ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ხორციელდება რისკების მართვა. ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვა არის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის განუყოფელი ნაწილი და უწყვეტი პროცესი.

ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვა გულისხმობს რისკების იდენტიფიცირებასა და შეფასებას იმის მიხედვით, თუ რა შედეგები მოყვება მათ დაწესებულების ფუნქციონირებასთან მიმართებით, რისკებთან მოპყრობის პრიორიტეტულობის დადგენას და სხვა. დაწესებულებას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება პირთან, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის ტექნოლოგიის ინფრასტრუქტურაზე ზრუნვას და გამართულად მუშაობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.

5.2.1.3 აკადემიაში ფუნქციონირებს რექტორის 2024 წლის 01 ივნისის N2/63 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“, რომელიც განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმებს. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებითა და სათანადო მასალების გაცნობით ექსპერტებმა დაადგინეს, რომ აკადემიისათვის მნიშვნელოვანია პერსონალური მონაცემების დაცვა, აკადემიისათვის პერსონალური მონაცემების დაცვა მხარეთა შორის კეთილსინდისიერი და სანდო თანამშრომლობის საფუძველს წარმოადგენს. დაწესებულებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბსამისად ხორციელდება. პერსონალური მონაცემები მუშავდება მხოლოდ კონკრეტული, განსაზღვრული მიზნებისთვის. მონაცემთა დამუშავება ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს სუბიექტის თანხმობა, მონაცემთა დამუშავებას კანონი ითვალისწინებს, ან მონაცემთა დამუშავება აუცილებელია აკადემიის მიერ კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად. პერსონალურ მონაცემთა დამუშვებისას აკადემიის ყველა თანამშრომელი მკაცრად იცავს კონფიდენციალობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპებს. კონკრეტული თანამშრომელი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში, ვალდებულია არ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასცდეს მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილების ფარგლებს, დაიცვას მონაცემების საიდუმლოება მათ შორის მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაშიც. აკადემიას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

5.2.1.4 დაწესებულებაში დარეგულირებულია IT პროცესების სისტემების ეფექტიანობის უზრუნველყოფასა და IT რისკების მართვაზე პასუხისმგებელი პირის უფლება-ვალდებულებების, აპარატურის ფიზიკური უსაფრთხოების მექანიზმების, ინფორმაციაზე წვდომის, პროგრამული უზრუნველყოფისა და ქსელის მართვის პოლიტიკის, ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების განვითარების მექანიზმების, ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემების ადმინისტრირების საკითხები. აკადემია პერიოდულად ახორციელებს IT პროცესების სისტემების ეფექტიანობისა და IT რისკების შეფასების, რის დასტურადაც წამოდგენილია ანგარიშგების დოკუმენტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.4 დამაყოფილებულია, პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.

5.2.1.5 აკადემიაში სასწავლო პროცესსა და ზოგადად, დაწესებულების საქმიანობაში გამოიყენება თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ხორციელდება პროგრამული ურუნველყოფა, ფუნქციონირებს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი „Open Biblio", უზრუნველყოფილია ასევე ინტერნეტით შეუზღუდავი სარგებლობა. ზემოაღნიშნული ხელმისაწვდომია როგორც ადმინისტრაციის, ისე პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის.

პროფესიული სტუდენტების მიერ დაწესებულების სასწავლო და დამხმარე რესურსით, მათ შორის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებსა და პერსონალთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.1.6 დაწესებულება პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირებისთვის იყენებს ელექტრონულ საკომუნიკაციო მექანიზმებს. თანამშრომლები და პროფესიული სტუდენტები სარგებლობენ დაწესებულების დომეინით შექმნილი კორპორატიული მეილებით. საკომუნიკაციოდ გამოიყენება ასევე ვებგვერდი, სოციალური გვერდი და საერთო/ჯგუფური ჩატები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებსა და პერსონალთან განხორციელებული ინტერვიურებისას დადასტურდა დაწესებულების ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის ეფექტიანი მუშაობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. რექტორის 2020 წლის 28 ივლისის N2/60 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსების გამოყენების წესი“;
2. რექტორის 2024 წლის 01 ივნისის N2/63 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“;
3. რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
4. რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
5.ინტერნეტ პროვაიდერ „შპს სქაიტელთან“ გაფორმებული ხელშეკრულება;
6. პროფესიული სტუდენტების, პერსონალისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგი და ანალიზი;
7. პროფესიულ სტუდენტებსა და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.2.1 რექტორის 2021 წლის 21 დეკემბრის N 02-167 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი“, რომელიც განსაზღვრავს განსაზღვრავს დაწესებულებაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებზე მუშაობის წესს. დოკუმენტი არეგულირებს შემოსული კორესპონდენციის მიღება, აღრიცხვა (რეგისტრაცია) და დაგზავნის მიდგომებს, დოკუმენტების შედგენის, გაგზავნას, ინდექსებისა და რიგითი ნომრების მინიჭების, ბეჭდების გამოყენების, საარქივო დოკუმენტების ადმინისტრირების წესებს. დაწესებულებამ წარმოადგინა სარეგისტრაციო ჟურნალები, რომელიც დამუშავებულია კანონმდებლობის სრული დაცვით. აკადემიის საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დებულებები არაა წინააღმდეგობაში საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქციითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ დებულებებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

5.2.2.2 აკადემიაში დასაქმებული პერსონალი იყენებს ელექტრონულ ფოსტას, რომლის საშუალებითაც აქტიურად ხორციელდება ყოველდღიური საქმიანი მიმოწერა თანამშრომლებს შორის. დაწესებულების მმართველობითი და ადმინისტრაციული წარმოების მიზნით, პერსონალი ჩართულია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (eFLOW). დაწესებულების მიერ წამოდგენილია პროფესიულ სტუდენტებთან, პერსონალთან და პარტნიორებთან განხორციელებული ელექტრონული მიმოწერა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.2 დაკმაყოფილებულია, პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის.

5.2.2.3 ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეისწავლა პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია. დაწესებულების მიერ სისტემაში ასახულია ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხული პირების, პროგრამის განმახორციელებელი და ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების, დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ, ასევე ყველა ის კომპონენტი, რაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის 2021 წლის 17 თებერვლის 11/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტითაა განსაზღვრული, დაცულია ინფორმაციის სისტემაში ასახვის კანონმდებლობით დადგენილი ვადები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.2.4 რექტორის 2021 წლის 21 დეკემბრის N 02-167 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესის“ თანახმად, განსაზღვრულია ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა. დოკუმენტებზე რეაგირებისა და შესრულების ვადები არ აღემატება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადებს. დაწესებულებას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც პასუხისმგებელია დოკუმენტების შესრულების კონტროლსა და დროულ რეგირებაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით შემოწმდა დაწესებულების მიერ მიღებული და გაცემული კორესპოდენცია, რითაც დადასტურდა დაწესებულების მიერ კორესპოდენციის შესრულების ვადების დაცვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. რექტორის 2021 წლის 21 დეკემბრის N 02-167 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი“;
2. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;
3. ელექტრონული საქმისწარმოების (eFlow) სისტემა;
3. სარეგისტრაციო ჟურნალები;
4. ინტერვიურების შედეგები.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.2.3.1 აკადემიის ოფიციალური ვებ გვერდია https://bta.edu.ge/ და სოციალური ქსელის გვერდი ფეისბუქში, ინსტაგრამში, იუთუბსა და ლინკდინში, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებგვერდზე განთავსებულია აკადემიის ისტორია, მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, ინფორმაცია ადმინისტრაციის პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პარტნიორების შესახებ; განთავსებულია ყველა ტიპის პროგრამა, რასაც დაწესებულები ახორციელებს, ჩარიცხვის პროცედურები, დაწესებულების შიდა აქტები, სიახლეები, ინფორმაცია პროექტების შესახებ, ვაკანსიები, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვ. სოციალური ქსელის მეშვეობით ქვეყნდება, ასევე, დაწესებულებში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია და სიახლე. დაწესწბულების მიერ წარმოდგენილია დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

5.2.3.2 აკადემია საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე. დაწესებულების მისიასა და სამომავლო ხედვაში არ იკვეთება ინფორმაცია საერთაშორისო აქტივობების შესახებ, შესაბამისად, ვებგვერდი მხოლოდ ქართულენოვანია, ინგლისურ ენაზე განთავსებულია ინფორმაცია მხოლოდ დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდი, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

5.2.3.3 აკადემია ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელების გვერდის საშუალებით, ავრცელებს სანდო და უტყუარ ინფორმაციას განხორციელებული საქმიანობის, საგანმანათლებლო და მოკლევადიანი პროგრამების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, ხანგრძლივობის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაშვების წინაპირობის, დასაქმების შესაძლებლობების, პარტნიორი ორგანიზაციების, ღონისძიებების, საინფორმაციო შეხვედრების, ღია კარის დღეებისა და სხვა აქტივეობების შესახებ.

რექტორის 2020 წლის 23 ივლისის N2/56 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი“, რომელიც არეგულირებს შიდა და გარე შეხვედრები და აქტივობებში ჩართულობა, კულტურული და ექსტრაკურიკულური აქტივობების ხელშეწყობა, ვებ გვერდისა და სოციალური ქსელების ფუნქცია და დანიშნულება, კომუნიკაცია თანამშრომლებთან, სტუდენტებთან/მსმენელებთან, უკუკავშირის შედეგები და ანალიზი. საზოგადოებასთან სწორი და დროული ურთიერთობა და სანდო ინფორმაციის გავრცელება დასტურდება პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.3 დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

5.2.3.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის და განთავსებულია აკადემიის ვებ გვერდზე.

კატალოგი მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, მოცულობის, ხანგძლივობის, დასაქმების შესაძლებლობების, ასევე აკადემიის მიღწევებისა და განხორციელებული აქტივობების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.4 დაკმაყოფილებული, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

5.2.3.5 აკადემია ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლებას ყოველწლიურად, რის დასტურადაც დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.3.6 დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია „კონტაქტის“ ველი, სადაც ნებისმიერ მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა გააგზავნოს კითხვები/სურვილები/რეკომენდაცია. აკადემიაში იმართება საინფორმაციო შეხვედრები, სადაც ყველა მსურველს აქვს საშუალება დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება ამა თუ იმ საკითხზე. საზოგადოებასთან კომუნიკაციის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს დაწესებულების Facebook გვერდი, რომლის საშუალებითაც, გვერდის ადმინისტრატორი პასუხობს დაინტერესებული პირებისგან შემოსულ შეკითხვებს.

დაწესებულების რექტორსა და სხვა წარმომადგენლებთან, ასევე პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, ზემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის შედეგად მიღებულ უკუკავშირი მუშავდება და გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.6 დაკმაყოფილებულია, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემიის ოფიციალური ვებ გვერდი https://bta.edu.ge/ და სოციალური ქსელის გვერდები
2. აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები;
3. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
5. დომენი და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
6. რექტორის 2020 წლის 23 ივლისის N2/56 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი“
7. აკადემიის პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. საჩხერე, ივ. გომართელის N50ა, N52
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	30
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	36

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1 შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მფლობელობაშია ქ.საჩხერეში, ივანე გომართელის N 50ა/ 52 - ში 2652 მ2 ფართობზე განლაგებული 2605,7 მ2 სიდიდის შენობა-ნაგებობა, რომლის ფლობა დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. **„ინფორმაციის ტექნოლოგიის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია როგორც დაწესებულების, ისე სასწავლო პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 30 ადგილი ერთ ცვლაში, თუმცა, ვიზიტის პერიოდში აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა 36 - ს შეადგენდა. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნული ფაქტი გამოწვეული იყო „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/ნ ბრძანების მე - 9 მუხლის მე - 19 პუნქტით, რაც თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტების რეიტინგულ სიაში ერთსა და იმავე ადგილის დაკავებას გულისხმობს). **„ინფორმაციის ტენოლოგიის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას გამოყოფილი აქვს 1 ერთეული თეორიული სწავლების აუდიტორია (A სასწავლო გარემო), ერთი ერთეული კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორია (B სასწავლო გარემო), 1 ერთეული კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორია (B/C სასწავლო გარემო) - კოოპერაციული მიდგომით სწავლებისათვის. აუდიტორიები აღჭურვილია სათანადო რაოდენობის მაგიდებითა და სკამებით, პრინტერით, პროექტორით, დაფით, კარადითა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ორ პარტნიორ ორგანიზაციასთან - საჩხერის N1 და N2 საჯარო სკოლებთან გაფორმებული მემორანდუმები (რეკვიზიტები: N5/68, 08.05.2023წ. და N5/70, 08.05.2023წ). სკოლებმა უნდა უზრუნველყონ 30 პროფესიული სტუდენტისათვის მოდულის, გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში, სწავლის შედეგების მხარდაჭერა. მემორანდუმების თანახმად, თითოეული სკოლა გამოთქვამს მზადყოფნას ერთდროულად მიიღოს 20 პროფესიული სტუდენტი. დოკუმენტი ძალაშია 2028 წლის 08 მაისის ჩათვლით, თუმცა, თუ მხარეები ამ ვადის გასვლამდე ერთი კვირით ადრე არ განაცხადებენ უარს თანამშრომლობაზე, მემორანდუმი კიდევ 5 წლით იქნება ძალაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2.2.1.2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის **„ინფორმაციის ტექნოლოგია“** განსაზღვრული ზოგადი მოდულების (მათ შორის ქართული ენის A2) განხორციელებაში ჩართულია 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი, ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში - 4 პროფესიული განათლების მასწავლებელი. თითოეულ მათგანთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც გაწერილია შრომის კოდექსით დადგენილი არსებითი პირობები. ექსპერტების მიერ გადამოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა და დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირების რაოდენობა და დატვირთვა შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

2.2.1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის **„ინფორმაციის ტექნოლოგია“** განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა განმახორციელებლების პირადი საქმეები, კვალიფიკაცია. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმებისა და მათთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროფესიულ მასწავლებელთა განათლება და სამუშაო გამოცდილება, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციას. აღნიშნული კომპეტენციები მათ უდასტურდებათ შესაბამისი კვალიფიკაციით და/ან მრავალწლიანი პროფესიული/ პედაგოგიური გამოცდილებით და/ან გავლილი ტრენინგებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს უდასტურდება პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.4. **„ინფორმაციის ტექნოლოგიის“** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც ამავე დროს არის მოდულის განმახორციელებელი. დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმებული იქნა მისი პირადი საქმე, რითაც დასტურდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და პრაქტიკული მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/ცვლილებების შეტანის პროცესში, პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად შეფასების ინსტრუმენტების და კალენდარული გეგმების შემუშავებაში, პასუხისმგებელია პროფესიული საგანმანათლებლო მოდულების ადაპტირებისა და მათი სტანდარტებთან შესაბამისობაზე, კონსულტაციას უწევს სტუდენტებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

2.2.1.5. **„ინფორმაციის ტექნოლოგიის“** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით დასტურდება ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებითა და შერჩევითი პრინციპით რამდენიმე რესურსის გადამოწმების შედეგით. პროფესიული სტუდენტებს ელექტრონული წიგნებით სარგებლობა ნებისმიერ დროს შეუძლიათ. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

2.2.1.6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, აკადემიას ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სსსმ პირთა ასისტენტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ - ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა, ხოლო სსსმ პირთა ასისტენტის ფუნქცია უზრუნველყოს სტუდენტის სამუშაო და სასწავლო მასალის ადაპტირება, რაც რეალურად დანერგილი პრაქტიკაა დაწესებულებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

2.2.1.7. დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამისათვის „ინფორმაციის ტექნოლოგია" შემუშავებული აქვს ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილს (შრომის ანაზღაურება, მასალა-ნედლეული, გაუთვალისწინებელი ხარჯი და სხვა). ბიუჯეტით გაანგარიშებულია პროგრამის რენტაბელობის ზღვარი 15 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამის ფარგლებში სწავლება ფინანსდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ვაუჩერული წესით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემიის რექტორის 2018 წლის 18 ივლისის N2/61 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ინფორმაციის ტექნოლოგია"**;
2. აკადემიასა პარტნიორ ორგანიზაციებს შორის გაფორმებული მემორანდუმები;
3. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
4. პროგრამის ბიუჯეტი;
5. პროგრამის ხელმძღვანელის გაფორმებული ხელშეკრულება;
6. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსებითა და შესყიდვის დოკუმენტაციით;
7. ინტერვიუს შედეგებით

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ინფორმაციის ტექნოლოგია“** ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამას ერთიან პაკეტს ახლავს სასწავლო გეგმა, რომელიც აწყობილია მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობით, მოდულზე დაშვების წინაპირობები დაცულია. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის სპაციალისტსა და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, დგება მეცადინეობის განრიგები და ცხრილები, რითაც უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის გამართულად ფუნქციონირება.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან ერთად ახორციელებს სასწავლო სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონულად. სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია აკადემიის ვებგვერდზეც.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულებისა და გავლილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული „**ინფორმაციის ტექნოლოგიის**“ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1.2. აკადემიის რექტორის 2022 წლის 31იანვრის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და ამ პროცესში პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს.

აკადემია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ საშუალება თვითონ აირჩიონ სწავლების გრაფიკი, მხედველობაში მიიღება უმრავლესობის აზრი.
აკადემია სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან სწავლების საწყის ეტაპზე ან /და ყველა ეტაპზე, როცა სასწავლო გარემო იცვლება, ამის უზრუნველსაყოფად ხორციელდება გაცნობითი სახის შეხვედრების ჩატარება მიღებულ სტუდენტთა ყველა ნაკადთან, სადაც შედგება პრეზენტაციები აკადემიის სერვისებისა და ზოგადად არსებული შესაძლებლობების, მათი ვალდებულებების, შინაგანაწესის მოთხოვნების , სასწავლო პროცესის თავისებურებების, ეთიკის ნორმების,

უსაფრთხოების და სხვა წესების შესახებ. სასწავლო პროცესის სამსახური ვალდებული ხელი შეუწყოს სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან ან შესთავაზოს სტუდენტს შესაბამისი სერვისები/მხარდაჭერა საჭიროების მიხედვით კომპეტენციის ფარგლებში.
დაწესებულება ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს აცნობს მათთან არსებულ რეგულაციებს, სტუდენტის უფლებებს (სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა/აღდგენა, ფორმალური განათლების აღიარება, მობილობა, შეფასების პროცედურა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლება, კვალიფიკაციის მინიჭება და სხვა).

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება, აკადემია მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

2.4.1.3. **„ინფორმაციის ტექნოლოგიის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, აკადემიაში არსებობს შესაბამისი დარგის უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვნელს აქვთ შესაბამისი კომპეტენცია სასწავლო პროცესში გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

2.4.1.4 **„ინფორმაციის ტექნოლოგიის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე აკადემიაში შემუშავებულია სათანადო მექანიზმი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის აუცილებლობა წარმოიშობა შემდეგი გარემოებების არსებობისას:

ა) პროფესიულ სტუდენტს დადგენილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება;

ბ) პროფესიული სტუდენტი ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, დროებით საჭიროებს სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმს/ინგ-ს;

გ) პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით;

დ) ფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების/დადასტურების შემთხვევაში;

ე) სხვა შემთხვევები, როდესაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვის გათვალისწინებით.

საჭიროების შემთხვევაში რექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფ(ებ)ი, რომელშიც შედის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, რექტორის მოადგილე (საჩხერის განყოფილება), სასწავლო პროცესის სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი მოდულ(ებ)ის განმახორციელებელი პირები, ასევე მოწვეული უნდა იქნას სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტი რომლებიც პროფესიული სტუდენტის ან არასრულწლოვანი და სსსმ/შშმ პირის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას/პროგრამას. სამუშაო ჯგუფის მიერ ხდება მოდულის/საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტის მოდიფიკაცია ან აკომოდაცია. დაწესებულებამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და პროფესიული სტუდენტების, მათი წარმომადგენლების მიერ გაცნობის ფაქტების დამადასტურებელი დოკუმენტები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცესის დამადასტურებელი ოქმები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ინტერვიურებისას პროფესიულ სტუდენტებმა დაადასტურეს დაწესებულების მიერ მათი საჭიროებების გათვალისწინებისა და დაკმაყოფილების ფაქტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1.5 **„ინფორმაციის ტენოლოგიის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პრაქტიკის ორი ობიექტი:

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლა და სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის N2 საჯარო სკოლა, თითოეული ორგანიზაცია გეგმავს ერთდროულად 20 პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის მხარდაჭერას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

2.4.1.6 **„ინფორმაციის ტენოლოგიის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აკადემიას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი, რომელიც არეგულირებს პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობებს. მასწავლებელი მოვალეა დარწმუნდეს, რომ სამუშაო გარემო უსაფრთხოასამუშაოს დაწყების წინ უნდა შეამოწმოს მაგფიდისა და სკამის სიმყარე, კომპიუტერული აღჭურვილობის კონსტრუქციული სიმთელე, კაბელებისა და როზეტების მდგომარეობა და სხვა. ნებისმიერი გაუმართაობის შემთხვევაში, უნდა აცნობოს აკადემიის ადმინისტრაციას. უსაფრთხოების დამატებითი ღონისძიებების გასატარებლად პრაქტიკული მეცადინეობის დროს, რისკის შემცველი სამუშაოების განხორციელებისას ჩართოს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

პროფესიული განათლების მასწავლებელი უნდა იცნობდეს ხანძრის გაჩენის შემთხვევაში მისაღებ ზომებს, შენობის საევაკუაციო გეგმას, გასასვლელებსა და მასობრივი თავშეყრის ადგილს, იცოდეს ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების განთავსების ადგილი და მათი გამოყენების წესები, იცოდეს ვინ არის საგანმანეთლებლო დაწესებულებაში პასუხიმგებელი სახანძრო უსაფრთხოებაზე, იცოდეს პირველადი სამედიცინო საშუალებებით აღჭურვილი ყუთის განთავსების ადგილი, იცოდეს ვინ არის პასუხიმგებელი პირი პირველადი დახმარების გაწევასთან დაკავშირებით. თავის მხრივ, პროფესიული სტუდენტი მოვალეა, დარწმუნდეს რომ სასწავლო გარემო უსაფრთხოა და ყველა პირობაა შექმნილი სასწავლო პროცესისთვის, ნებისმიერი საფრთხისშემცველი ფაქტორის შესახებ, რომელმაც შესაძლოა მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას მიაყეოს ზიანი, აცნობოს პროფესიული განათლების მასწავლებელს ან/და ადმინისტაციის წარმომადგენელს. მხოლოდ მასწავლებლის მეთვალყურეობის დროს, სწავლების პროცესში გამოიყენოს ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რითიცაა აღჭურვილი აუდიტორია, დაემორჩილოს პროფესიული განათლების მასწავლებლის მითითებებს პრაქტიკული მეცადინეობის განხორციელების დროს.

პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია პრაქტიკული დავალების განხორციელებამდე სტუდენტებს დეტალურად გააცნოს ყველა პროცედურა, რაც უნდა განხორციელდეს პრაქტიკული დავალების შესრულებისას. იგი ვალდებულია თავდაპირველად მოაწყოს სადემონსტრაციო მეცადინეობა, მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებენ პროფესიული სტუდენტები დაიწყონ სამუშაოს შესრულება.

აღნიშნული დადასტურდა პროგრამის ხელმძღვნელსა და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემიის რექტორის 2018 წლის 18 ივლისის N2/61 ბრძანებით დამტკიცებული **„ინფორმაციის ტექნოლოგიის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
2. აკადემიის რექტორის 2022 წლის 31იანვრის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
3. პროფესიული სტუდენტებისათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმი და მათი გაცნობის მტკიცებულებები;
4. აკადემიასა და პარტნიორ დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები;
5. პროფესიულ სტუდენტებთან, აკადემიის პერსონალსა და პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1 აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს შეფასების სისტემას, შეფასების ინსტრუმენტებსა და შეფასების უწყისის წარმოების მექანიზმებს. დოკუმენტი ადგენს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების სისტემის არსებობის სავალდებულოობას.

შეფასების ინსტრუმენტის შედგენა ორი ეტაპისაგან, შეფასების ინსტრუმენტის შედგენისა და ვალიდაციისაგან შედგება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელი/მასწავლებლები შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიმართულების მიხედვით არჩევს შესაბამის შეფასების ინსტრუმენტს. ინსტრუმენტში შემავალი საკითხები უნდა იყოს დაბალანსებული და გონივრული პროპორციით ფარავდეს მოდულების სწავლის შედეგს/შედეგებს, უნდა შეიცავდეს სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ და ტრანსფერული უნარების შემფასებელ კომპონენტებს. შეფასების ინსტრუმენტები მუდმივად განახლებადი უნდა იყოს, და პასუხობდეს დარგის განვითარების/შრომის ბაზრის მოთხოვნებს. რაც გულისხმობს, პერიოდულად ცვლილებების განხორციელებას. მეტად მნიშვნელოვანი კომპონენტია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია, რაც უზრუნველყოფილს შეფასების ინსტრუმენტებისადმი ფუნდამენტური მოთხოვნების (ვალიდურობის, რელევანტურობის და საკმარისობის)დაცვას. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შექმნილ შეფასების ინსტრუმენტს (ტექნიკურ ნაწილში) ითანხმებს/ვალიდაციას ახორციელებს სასწავლო პროცესის სპეციალისტი, რომელიც უფლებამოსილია ამ პროცესში ჩართოს დარგის სპეციალისტი, ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით. შეფასების პროცესამდე მინიმუმ 7 სამუშაო დღით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის სპეციალისტს, უგზავნის/წარუდგენს შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტის პროექტს, სასწავლო პროცესის სპეციალისტი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის შემოწმებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შინაარსობრივი ნაწილის შემოწმებას ახორციელებს დარგის სპეციალისტი. აკადემიის მიერ დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების ფორმა და განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენის ვადები. შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციისა და შეფასების ადმინისტრირების პროცესები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და დაცულია სამართლიანობის პრინციპები, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ნაწილში, კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთათვის შეფასების შედეგების გაცნობა.დაწესებულებაში დარეგულირებულია განმეორებითი შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმებიც, აღნიშნული გარემოებები დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებსა და აკადემიის პერსონალთან ექსერტთა ჯგუფის ინტერვიურების გზით.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს შეფასების ელექტრონული სისტემა. პროფესიულ სტუდენტთა თეორიული კომპონენტის შეფასებისათის აკადემიას შესყიდული აქვს და იყენებს ელექტრონულ პლატფორმას https://www.bta.edu.ge/ge/posts/details/23/sagamotsdo-sivrtse. საგამოცდო სირვცეში ავტორიზაციისთვის დაყენებულია მრავალდონიანი დაცვის სიტემა; მკაცრად კონტროლდება პროფესიულ სტუდენტთა აიპი მისამართები, პროგრამა იძლევა საშუალებას სწავლის შედეგის დადასტურების, პროფესიული სტუდენტისათვის საკუთარი შედეგის კონფიდენციალურობის დაცვით გაცნობის, ასევე გამჭირვალობის და სამართლიანობის დაცვის საშუალებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური.

2.4.2.2 აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმებს. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც ამავდროულად ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, მასზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის პასუხისმგებელი, თუმცა პროცესში შესაძლებელია სხვა პირები იყვნენ ჩართულნი(განათლების/დარგის ექსპერტები, სოციოლოგი, და სხვა) ვერიფიკატორი არ უნდა იყოს ის პირი, რომელმაც ინსტრუმენტი შეიმუშავა ან მონაწილეობდა შემუშავების პროცესში.

ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, შეფასების პროცესისა და შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია, ინსტრუმენტის და მტკიცებულების ვერიფიკაცია შერჩევითი პროცესია. რისკების ანალიზს აკეთებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი, ანალიზის შედეგების საფუძველზე ახორციელებს ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირებას, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა. ეს შეიძლება იყოს დამწყები მასწავლებლის ფაქტორი, მოდულის ფარგლებში პირველადი შეფასებისას ყველა სტუდენტის მიერ მიღებული უარყოფითი ან დადებითი შეფასება და სხვა. ვერიფიკაცია შეიძლება შერჩევითი პრინციპითაც განხორციელდეს, მაგალითად, ერთიდაიმავე ინსტრუმენტის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების საერთო რაოდენობის 20% და სხვა. ასევე შესაძლოა რისკებში მოხვდეს ისეთი შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც ბოლო სამი წელია არ შემოწმებულა (თითოეული საგანმანათლებლო პროგრამიდან მაქსიმუმ ორი მოდული)მოდული შეირჩევა შემთხვევითობის პრინციპით. ვერიფიკაციის პროცესისათვის ჯგუფი იყენებს ვერიფიკაციის კითხვარებს, რომელის სამუშაო ვერსიას ადგენს ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახური, აღნიშნული წარედგინება ჯგუფს პირველ შეხვედრაზე, ხდება საბოლოო ვერსიის შეჯერება. ყველა ვერიფიკატორი იყენებს კითხვარების შეჯერებულ ვერსიას.

„ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეფასების სისტემის ვერიფიკაცია რამდენიმე მოდულის ფარგლებში ჩატარდა. დაწესებულებამ წარმოადგინა ჩატარებული ვერიფიკაციის დამადასტურებელი მასალები (სამსახურებრივი ბარათები, რისკების შეფასების ფორმა, ვერიფიკაციის კითხვარი, ვერიფიკაციის ანგარიში და სხვა).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

2.4.2.3 აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების/მონაცემების/ინფორმაციის სათანადო აღრიცხვის, შევსებისა და შენახვის წესებს.

სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი/პროექტი წარმოადგენს შეფასების მტკიცებულებას, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი, რომელიც არის მალფუჭებადი და განკუთვნილია კონკრეტული მოდულის შედეგის დადასტურებისათვის, ასეთი შემთხვევებისთვის შესრულების მტკიცებულებების დასადასტურებლად კონკრეტული პროდუქტისათვის ივსება სპეციალური ფორმულარი (ფორმულარში მითითებულია მოდული, შედეგი, შემსრულებელი, მოდულის განმახორციელებელი პირი, რიცხვი და სხვა) და ხდება პროდუქტის ფოტოგრაფირება. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას შექმნილი ელექტრონული პროდუქტი (თუ ეს დაკავშირებულია შედეგის დადასტურებასთან, ანუ წარმოადგენს მტკიცებულებას), უნდა ჩაიწეროს ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის/პროექტის შენახვისას შესაძლებელი უნდა იყოს მისი ავტორ(ებ)ის/შემქნელ(ებ)ის იდენტიფიკაცია. შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია აღირიცხება ელექტრონულად. მტკიცებულებები უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახება სასწავლო პროცესის თანამშრომლებთან, პროგრამების მიხედვით ინდივიდუალურ საქაღალდეებში, ან ელექტრონულად, რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის. შეფასების უწყისები აღირიცხება ელექტრონულ ჟურნალში, უწყისები პროფესიული პროფესიულ სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება რექტორის მოადგილესთან შესაბამის საქაღალდეში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ უწყისების აღრიცხვის ფურცელთან (მატერიალური ფორმა) ერთად გადაეცემა კანცელარიას და ინახება უვადოდ. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევთ იქნა გადამოწმებული. გარდა ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა უწყისის გაფორმებიდან სამწლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ არსებული მტკიცებულებების ჩამოწერის/განადგურების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

2.4.2.4 აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს აგრეთვე პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგების უკუკავშირის მექანიზმებს. დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს. პროფესიული სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია პერსონალური მონაცემები. დაუშვებელია ჯგუფში კონკრეტული პროფესიული სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების გასაჯაროვება, თუ ამაზე პროფესიულ სტუდენტს არ აქვს გამოხატული თანხმობა (სიტყვიერად ან წერილობით). შედეგები ასეთ შემთხვევაში განზოგადოებულად უნდა იქნეს განხილული. კონკრეტული პროფესიული სტუდენტის შედეგები მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე უნდა იქნეს განხილული. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები შესაძლოა გამოყენებულ იქნას საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.
აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობა დადასტურებულია დაწესებულების წარმომადგენლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. აკასდემიის შეფასების ინსტრუმენტების ფორმა;
3. შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები;
7. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებების ჩამოწერის დამადასტურეველი დოკუმენტაცია;
8. „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
9. ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

ვიზიტის დღის წესრიგი თანახლავს დასკვნის პროექტს.

თარიღი: 30.07.2024 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: